საქართველოს მთავრობის

დადგენილება №109

2022 წლის 2 მარტი

ქ. თბილისი

„მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/02/2020, 300160070.10.003.021794) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის X დანართით გათვალისწინებული პროდუქტის (გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსებისათვის იმპორტიორი ვალდებულია, სსიპ – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) ვებგვერდის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურსა და სააგენტოს ელექტრონული ფორმით წარუდგინოს „მანქანა-დანადგარის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“, რომლის ფორმა, შევსებისა და დადასტურების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.“;

ბ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. ამ მუხლით გათვალისწინებული „მანქანა-დანადგარის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:

ა) ფიზიკური პირის მიერ:

ა.ა) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ ან 3000 ლარამდე ღირებულების 50 კგ-მდე საერთო წონის იმ მანქანა-დანადგარების იმპორტისას ან ნებისმიერი ღირებულების ერთი ერთეული იმ მანქანა-დანადგარის იმპორტისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ა.ბ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში, 3 000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის იმ მანქანა-დანადგარების იმპორტისას, რომლებიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ა.გ) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) იმ მანქანა-დანადგარების იმპორტისას, რომლებიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ა.დ) უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ 5 000 ლარამდე ღირებულების იმ მანქანა-დანადგარების იმპორტისას, რომლებიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ბ) მანქანა-დანადგარების იმპორტისას, სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის შედეგების

ლიკვიდაციის მიზნით;

გ) მანქანა-დანადგარების იმპორტისას, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სტატუსის მინიჭების შემთხვევაში);

დ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლის შესაბამისად დაბრუნებული საქონლის იმპორტისას.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „მანქანა-დანადგარების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის:

ა) II დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) X დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი X

მანქანა-დანადგარების ნუსხა

№	კატეგორია	დასახელება	სასაქონლო კოდი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) მიხედვით
1.	ხის დასამუშავებელი მანქანა-დანადგარები	შეშის დასამუშავებელი დაზგა	8465 99 009 00
		გამაშალაშინებელი მოწყობილობა	8467 29 700 00
		ხის ერთშპინდელიანი ვერტიკალური საფრეზი ჩარხი	8456 11 900 00
		რეისმუსი	8465 92 000 00
		ლამინატის საჭრელი დაზგა	8465 96 000 00
		ხის დამამუშავებელი ჩარხები	8465 99 001 00
		ძრავიანი ხერხი (ხელის)	8467 81 000 00
2.	სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები	საირიგაციო მანქანა	8424 82 100 00
		შემწამლველი მანქანა (ხელით მართვადი)	8424 82 900 00
		მიწის მთხრელი მანქანა	8432 80 000 00
		მბრუნავი კულტივატორი	8432 29 100 00
		ძრავიანი თოხი	8432 29 900 00
		შემწამვლელი მანქანა (ტრანსპორტით გადასაადგილებელი)	8432 80 00 000

		ძრავიანი ცელი	8433 20 100 00
		ვაზის ყლორტის საჭრელი მანქანა	8433 59 850 00
		სილოსის ჩატვირთვის, შერევის, დაქუცმაცებისა და განაწილების მოწყობილობები	8437 80 000 00
		პირდაპირი სათესელები, სარგველები და ჩითილების სარგავი მანქანები	8432 31 000 00
3.	სამშენებლო/ინფრასტრუქტურული დანიშნულების მანქანა-დანადგარები	ჭერის ჰიდრავლიკური დამჭერები	8425 42 000 09
		მტვირთავი ამწე	8426 12 000 00
		მსუბუქი ამწეკრანი	8426 99 000 09
		ბეტონშემრევი მანქანა	8474 31 000 00
		აგურისა და ქვის მჭრელი დანადგარი	8474 80 900 00
		სამშენებლო ნაკეთობის დანადგარი ბეტონისათვის	8474 80 900 00
		ბეტონის სანგრევი ვიბრატორი (პერფერატორი)	8479 10 000 00
		ლაზერული ნიველირი (ელექტრო)	9015 30 100 00
		გვირაბგამყვანი მანქანები	8430 31 000 00
		კოშკურა ამწეები	8426 20 000 00
		ჰიდრავლიკური ამწეები, განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ჩატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის	8426 91 100 00
		ბორბლებზე სავალი ამწეები	8426 41 000 00
		მოძრავი ამწე ფერმები ბორბლიანი სვლით და პორტალური სატვირთელები	8426 12 000 00
4.		მექანიკური საბურღი ჩარხი	8465 95 000 00
		მექანიკური ჩარხი სახარატე	8465 99 001 00
		ძალური საჭრელი	8461 50 110 00
		რკინის სტაციონარული საჭრელი (ელექტროდაზგა)	8461 50 110 00
		მექანიკური საფრეზი ჩარხი	8465 92 000 00
		კუთხსახეხი	8467 29 510 00
		ცირკულარული საჭრელი	8465 91 200 00
		მექანიკური მაკრატლები (წნეხების ჩათვლით), კომბინირებული გამხვრეტი და ამომკვეთის გარდა: დანარჩენი	8462 39 100 00 8462 39 910 00 8462 39 990 00
		მექანიკური მაკრატლები (წნეხების ჩათვლით), კომბინირებული გამხვრეტი და ამომკვეთის გარდა: ციფრული პროგრამული მართვით	8462 31 000 00

	ლითონის დასამუშავებელი მანქანა- დანადგარები	საჭედი ან საშტამპავი მანქანები (წნეხების ჩათვლით) და ურიები: ციფრული პროგრამული მართვით	8462 10 100 00
		საჭედი ან საშტამპავი მანქანები (წნეხების ჩათვლით) და ურიები: დანარჩენი	8462 10 900 00
		კუთხვილსაჭრელი ჩარხები	8459 70 000 00
		ხაზოვანი აგებულების აგრეგატული ჩარხები	8459 10 000 00
		საბურღი ჩარხები ციფრული პროგრამული მართვით	8459 21 000 00
		საბურღი ჩარხები დანარჩენი	8459 29 000 00
		შიგსაჩარხი-საფრეზავი ჩარხები ციფრული პროგრამული მართვით	8459 31 000 00
		შიგსაჩარხი-საფრეზავი ჩარხები დანარჩენი	8459 39 000 00
		შიგსაჩარხი ჩარხები ციფრული პროგრამული მართვით	8459 41 000 00
		შიგსაჩარხი ჩარხები დანარჩენი	8459 49 000 00
		კონსოლ-საფრეზავი ჩარხები: ციფრული პროგრამული მართვით	8459 51 000 00
		კონსოლ-საფრეზავი ჩარხები: დანარჩენი	8459 59 000 00
		საფრეზავი ჩარხები ციფრული პროგრამული მართვით:	8459 61 100 00
		საფრეზავი ჩარხები დანარჩენი	8459 61 900 00
		ინსტრუმენტული საფრეზავი ციფრული პროგრამული მართვით	8459 69 100 00
		ინსტრუმენტული საფრეზავი დანარჩენი	8459 69 900 00
5.	პორტატული/ ხელით მართვადი მანქანა დანადგარები	ჰაერის შემბერი	8414 59 950 00
		ლოკომოტივები	8601 10 000 00
		ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჯალამბარი	8425 31 000 09
		თოვლის სახვეტი (ხელით მართვადი)	8430 20 000 00
		საბურღი დანადგარები	8430 49 000 00
		გაზონსაკრეჭი (ელექტრო)	8433 11 100 00
		ბუჩქის საკრეჭი (ხელით მართვადი, ელექტრო)	8433 11 100 00
		გაზონსაკრეჭი თვითმავალი დასაჯდომით	8433 11 510 00
		გაზონსაკრეჭი თვითმავალი დასაჯდომის გარეშე	8433 11 590 00
		სლაისერი	8438 50 000 00
		პნევმატური საპრესი	8462 91 800 00
		ქანჩის მოსაჭერი (ელექტრო, პნევმატური)	8467 19 000 00 - პნევმატური 8467 11 900 00 - პნევმატური

			8467 29 900 00 - ელექტრო
		ელექტროსახრახნისი	8467 29 900 00
		ელექტრო დრელი	8467 21
		ცირკულარული ხერხი	8467 22 300 00
		ლობზიკი (ხელით მართვადი ბეწვახერხი) (ელექტრო)	8467 22 900 00
		შრედერი	8472 90 900 00
		პნევმატური შეზეთვის აპარატი	8479 89 600 00
		მილების გასაცხელებელი უთო	8515 80 900 00
6.	ინდუსტრიული მანქანა-დანადგარები	საფეიქრო დანადგარი	8445 20 000 00
		ინდუსტრიული ჭურჭლის სარეცხი მანქანა	8422 19 000 00
		შუშის დასამზადებელი დანადგარი	8475 29 000 00
		ინდუსტრიული ცომსაზელი	8438 10 900 00
		მინერალური ნივთიერებების ბიტუმთან შემრევი მანქანები	8474 32 000 00
		ბეტონსარევები ან დუღაბშემრევები	8474 31 000 00
		მანქანები შერევისა და არევისათვის	8474 39 000 00
		მექანიკური მოწყობილობები ტყორცნის, გაშხეფვისა ან გაფრქვევისათვის მხოლოდ ან ძირითადად განკუთვნილი ბეჭდური სქემების ან ბეჭდური ასაწყობი სქემების დასამზადებლად	8424 89 400 00
		წყლით რეცხვის მოწყობილობა დანარჩენი	8424 30 080 00
		წყლით რეცხვის მოწყობილობა გამახურებელი მოწყობილობით	8424 30 010 00
		ლიფტები და სკიპური საწეველები ელექტრული მართვით – სპეციალურად მიწისქვეშა სამუშაოებისათვის განკუთვნილი	8428 31 000 00
		ლიფტები და სკიპური საწეველები ელექტრული მართვით	8428 10 200 00
		ინდუსტრიული საკერავი მანქანები	8452 29 000 00
		დანადგარები მაკარონის, სპაგეტისა ან ანალოგიური პროდუქციის წარმოებისათვის	8438 10 900 00
		დანადგარები ჰურფუნთუშეული ნაწარმის წარმოებისათვის	8438 10 100 00
		დანადგარები ხორცის ან ფრინველის გადასამუშავებლად	8438 50 000 00
		სარბენი ბილიკი	9506 91 900 00
		სტაციონარული საფარეხე საწეველები (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ამწეები)	8425 41 000 00
		მანქანები მოსაღუნი, ნაწიბურსაღუნი, საწრფევებელი (წნეხების ჩათვლით): დანარჩენი	8462 10 900 00
		მანქანები მოსაღუნი, ნაწიბურსაღუნი, საწრფევებელი (წნეხების ჩათვლით):	

		ციფრული პროგრამული მართვით	8462 10 100 00
7.	სხვა	სამრეწველო, კომერციული და ავტოფარეხების კარები და კარიბჭეები (ელექტროკარები და კარიბჭეები)	7308 30 000 00
		საბაგირო სამგზავრო და სატვირთო გზები, სათხილამურო საწეველები; საწევი მექანიზმები ფუნიკულიორებისათვის	8428 60 000 00
		ესკალატორები და საქვეითო მოძრავი ბილიკები	8428 40 000 00
		ფხვნილების საფრქვევებლები და მანაწილებლები, ტრაქტორებზე ან ამ ტრაქტორებით ბუქსირზიდვისათვის დასაყენებელი	8424 49 100 00
		პორტატული გამაფრქვევლები	8424 41 000 00